



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დოლიძე ავთანდილ ვახტანგის ძე

დოლიძე ავთანდილ ვახტანგის ძე (დ. 18. VI. 1941, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1990). დაამთავრა საქართვე. პოლიტექ. ინ-ტი (1963). 1964-იდან მუშაობს პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგანული ქიმიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004-იდან ევრ. უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საერთაშ. ტექ. ექსპერტია. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ნატიფი ორგანული სინთეზის, ქიმ. ეკოლ. სახიფათო ნარჩენების უტილიზაციისა და დაბინძურებული ტერიტორიების რეაბილიტაციის ტექნოლოგიების მეცნ. საფუძვლების შექმნა და პრაქტ. გამოყენება. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის პრემია (2007). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002).
